ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01192172622**
თარიღი: **05/08/2019**
პინი: **2596**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2019 წლის 30 ივლისის №60-01192111695 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია ლევან კვინიკაძის №AR1694833 განცხადებით წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა; ტოპო. გეგმა; გამწვანების პროექტი), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრის“ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ქალაქი თბილისი, ქუჩა ბიძინა კვერნაძის, N10, ს.კ.:01.10.13.033.100) IV კლასის ოფისის მშენებლობის შეთანხმებული პროექტის ცვლილების მიზნით, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ **სამსახურმა 2018 წლის 20 დეკემბრის N18-01183541718 წერილით, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით, დააფიქსირა პოზიცია. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მოცემული წერილის შესაბამისად, წარმოდგენილი გამწვანების პროექტი ფაქტობრივად შესრულებულია, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური წინააღმდეგი არ არის განხორციელდეს ზემოაღნიშნული განცხადებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები.**

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5[1] პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი